პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 173 (13567) | კვირა, 31 ივლისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

31 ივლისი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ძლიერება, ჩვენი დიდება

ბანგუტი, ჩესმა, სინოპი, სევასტოპოლი, პორტ-არტური — ეს ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანი ისტორიის ნიშანსვეტებია. მისი უმაღლესი გმირობაა რევოლუციური პეტროგრადი, ლეგენდარული „ავრორა", რომლის სიგნალითაც დაიწყო ოქტომბრის შტურმი.

სამხედრო მეზღვაურთა დღესასწაული ტრადიციისამებრ ყოველწლიურად აღინიშნება ივლისის უკანასკნელ კვირას. საკადესის კორესპონდენტი ა. მედვედევი ამასთან დაკავშირებით ესაუბრა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის პირველ მოადგილეს, ფლოტის ადმირალს ვ. ა. კასატონოვს და სთხოვა ეამბნა, თუ რა ფასლილი შეიძინეს მეზღვაურებმა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების საერთო საქმეში, მათი დღევანდელი სამსახურისა და ჩვენი ხომალდების შესახებ.

— სამხედრო მეზღვაურები ღირსეულად ასრულებდნენ და კვლავაც სანიმუშოდ შეასრულებენ მათ წინაშე დასახული ამოცანებს, თქვა ადმირალმა. როცა ოცდაზუთი წლის წინათ ჩვენს სამშობლოს ვერაგულად თავს დაესხა ჰიტლერული არმია, ყველა ფლოტის მატროსებმა, ზემდგებმა, ოფიცრებმა მეტად აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბრძოლო მოქმედებაში. სულ უფრო მძიმე დარტყმებს აგემებდნენ საბჭოთა მეზღვაურები ფაშისტური გერმანიის ფლოტს. სამეფოთო ფრონტებზე მამაცურად, თავგანწირულად იბრძოდნენ შავი, ბალტიის, ბარენცის ზღვების, წუნარი ოკეანის საზღვაო ქვეითი ჯარის მეზღვაურები — სულ 500 ათასი კაცი. მასობრივი გმირობა, რომელიც მათ გამოიჩინეს ბრძოლებში, ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის.

1800-ზე მეტი ხომალდი და კატარღა, 1425 ტრანსპორტი დაკარგეს ჰიტლერელებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ასეთია ჩვენი სამხედრო მეზღვაურთა საბრძოლო ანგარიში ომის ოთხ წლის განმავლობაში. მათ შორის ყველაზე მამაცებს — 422 მფრინავს, საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცს, მეკატარღეს, წყალქვეშელს შინენკოთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ომის შემდეგ ჩვენი ფლოტი ვითარდებოდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად. საბჭოთა ხალხს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ სამხედრო მეზღვაურები საიმედოდ იცავენ ზღვებსა და ოკეანეებში სოციალისტური სახელმწიფოს სახელმწიფო ინტერესებს.

სამხედრო-ტექნიკური პროგრესი, რომელმაც ესოდენ ძლიერად შეცვალა უკანასკნელი წლების მანძილზე შეიარაღებული ძალების სახე, რა თქმა უნდა, შეეხო ფლოტსაც. სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებთან ერთად აგრესორთა შეკავების მთავარი ძალაა ამჟამად ატომური წყალქვეშა ნავები, რომლებიც ბალისტიკური რაკეტებითაა აღჭურვილი.

ატომურმუხტიანი რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავები ამჟამად ჩვენი ფლოტის საფუძველია. ისინი ასრულებენ დიდ სტრატეგიულ ამოცანებს. ამავე დროს ატომურ წყალქვეშა ნავებს აქვთ სხვა მძლავრი იარაღი, რომელიც მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავებისა და წყალზედა ხომალდების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის საშუალებას იძლევა.

თავისი ეზოთ, მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების შესაბამისად ვითარდება ჩვენი წყალზედა ფლოტიც. საბჭოთა სახელმწიფოს აქვს უახლესი კრეისერები, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა „ვარიაგი", რომელსაც შეუძლია დიდხანს იყოს ნაოსნობაში და აქვს უზარმაზარი დამკვრელი ძალა. არის სწრაფმავალი საესკადრო ნაღმოსნები, სარაკეტო კატარღები, ნავსაწინააღმდეგო და სხვა ხომალდები. ისინი აღჭურვილია არა მარტო რაკეტებით, არამედ თვითდამმიზნებელი ტორპედოებით. გარდა ამისა, მათ აქვთ მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების ძებნის, ხანგრძლივი თვალთვალისა და მოსპობის საჭირო საშუალებანი. საჰაერო თავდასხმის შემთხვევაში ხომალდები დაუცველი როდი დარჩებიან — ისინი აამოქმედებენ ძლავრ საზენიტო საშუალებებს.

საბჭოთა კავშირის სანაპიროებს იცავენ სანაპირო სარაკეტო ჯარები. თვითონ მათი დასახელება თავისთავად ყველაფერს მეტყველებს. კომენტარები საჭირო არ არის. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ სანაპირო ნაწილები სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალიან ეფექტიანი გვარეობის ჯარებია.

— როგორ გამოიყურება ამჟამად ფლოტის საბრძოლო აღჭურვილობა დიდი სამამულო ომის პერიოდთან შედარებით?

— აქ შედარება პირდაპირ შეუძლებელია. მაგალითად, ატომმავლის ერთი ბალისტიკური რაკეტა, რომელსაც ატომური მუხტი აქვს, საცეცხლე ძალით აღემატება ყველა ჭურვისა და ბომბის აფეთქების ძალას, რომლებსაც ზღვაზე იყენებდნენ პირველი და მეორე მსოფლიო ოშების წლებში. თუ წინათ წყალქვეშა ნავი წყალქვეშ მხოლოდ ერთ დღე-ღამეს რჩებოდა, ამჟამად ეს დრო არაფრით არ არის შეზღუდული. ატომმავლები ავითარებენ 4-5 ჯერ მეტ სიჩქარეს, ვიდრე წინანდელი წყალქვეშა ნავები, და ფაქტიურად დადიან საკურიერო მგზავრების სიჩქარით. იმისათვის, რომ მიზნისათვის მოეხვედრებინა წინათ წყალქვეშა ნავი მიზანს უნდა მიახლოვებოდა, ახლა ეს სრულებითაც არ არის სავალდებულო.

მეზღვაურთა მთავარი შეიარაღება წინათ ტორპედოები და არტილერია იყო, ახლა პირველ ადგილზე გამოვიდა რაკეტები. რაკეტების სროლის სიშორე რამდენიმე ათეული კილომეტრიდან რამდენიმე ათას კილომეტრს აღწევს, ისინი გაცილებით ზუსტად ახვედრებენ ნიშანში ვიდრე საარტილერიო ქვემები. ხომალდებიდან სასწავლო სროლის დროს, როგორც წესი, მიზანს ხვდება ყოველი რაკეტა.

ფლოტისა და მისი იარაღის განახლებას, ბუნებრივია, თან სდევდა ხომალდების ტარებისა და კავშირგამბმულობის საშუალებათა სრულყოფა, რადიოელექტრონული აპარატურის დანერგვა. ამ უახლესმა ტექნიკამ უაღრესად გაადიდა ხომალდთა საბრძოლო შესაძლებლობანი, საშუალება მისცა ხორცი შეესხათ დიდი ფანტასტების ოცნებებისათვის. განა ასეთ გარდაქმნას არ მოწმობს, კერძოდ, საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავების ჯგუფების დედამიწის გარშემო მოგზაურობა. რომელიც სკკპ XXIII ყრილობის წინ განხორციელდა? განა საოცარი არ არის, რომ ჩვენი ატომმავლები მთელი ამ დროის განმავლობაში 40 ათას კილომეტრზე ცურვის დროს ერთხელაც არ ამოსულან ზეითი და მუდმივად კავშირი ჰქონდათ სარდლობასთან? ლაშქრობა კი მიმდინარეობდა ძალიან ძნელ პირობებში — სამხრეთ ამერიკის გარშემო, ანტარქტიკის წყლებში, აისბერგების, ყინულის ველების ქვეშ.

— ვერ გაგიმარტავთ, თუ რატომ არის, რომ ახლა რაკეტული იარაღის საუკუნეში მეზღვაურები მაინც იყენებენ ტორპედოებს?

— ტორპედოებს აქვთ მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობა: მათ უნარი აქვთ დაიზიანონ ხომალდის ყველაზე მნიშვნელოვანი — წყალქვეშა ნაწილი. ამ დროს კი ხომალდი აუცილებლად გამოდის მწყობრიდან. თანამედროვე ტორპედოები მრისხანე იარაღია კიდევ იმიტომ, რომ ისინი „ხედავენ" მიზანს და თვითონ მიისწრაფვიან მისკენ.

— როგორც ცნობილია, მეზღვაურებს აქვთ თავიანთი ავიაცია. გამოიჩრევა თუ არა იგი რამით „ხმელეთის" ავიაციისაგან?

— საზღვაო ავიაცია ძალიან კარგად ეხმარება ხომალდებს და ადიდებს ფლოტის დამკვრელ ძალას, ძალების სწრაფი გადაჯგუფების, საჭირო ადგილას მათი თავმოყრის საშუალებას იძლევა. ფლოტის თვითმფრინავები ისევე როგორც სახმედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები, სავსებით თანამედროვეა. აქვთ დიდი სიჩქარე და შეუძლიათ შორს ფრენა, რაკეტებით მიზნის მოსპობა, ისე, რომ არ შევიდნენ მოწინააღმდეგის საჰაერო დაცვის ზონაში.

რაც შეეხება საზღვაო მფრინავებს, მათ მომზადებაში არის ერთგვარი სპეციფიკა. მათ უნდა იცოდნენ ზღვაზე ხანგრძლივი ფრენა, ესე იგი, უორიენტიროდ მონახონ და განსაზღვრონ მიზანი უკიდეგანო ოკეანის ვრცელ რაიონებში.

— ამერიკელი აგრესორები თავიანთი დამპყრობლური მიზნების განხორციელებისათვის დიდ იმედებს ამყარებენ სახმედრო-საზღვაო ფლოტზე. რა მიმართულებით ვითარდება იგი?

— ამერიკის შეერთებული შტატები ნამდვილად უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთ ფლოტს. იმ უზარმაზარი სახსრებიდან, რომელსაც სახელმწიფო გამოჰყოფს სამხედრო მიზნებისათვის, 40 პროცენტი ფლოტის განვითარებისათვის იხარჯება. ფლოტის განკარგულებაშია ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების თავდასხმის ყველა სტრატეგიული ატომური საშუალების მესამედი.

ამერიკელები განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ ატომურ წყალქვეშა ნავებზე, რომლებიც „პოლარისის" ტიპის ატომური რაკეტებით არის აღჭურვილი, და დამკვრელ ავიამზიდებზე. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ამჟამად აქვს 91 ატომური წყალქვეშა ნავი, რომელთაგან 36 აღჭურვილია „პოლარისის" რაკეტებით. მწყობრშია 16 დამკვრელი ავიამზიდი. ასეთ ხომალდზე ჯდება ასამდე თვითმფრინავი, რომელთაგან ნახევარს ორი ათას კილომეტრამდე მოქმედების რადიუსი აქვს. ბევრ თვითმფრინავს შეუძლია ატომური იარაღის ტარება.

ამერიკის სამხედრო მეზღვაურებს მუდამ ბევრი „საქმე" აქვთ. ასრულებენ რა ფანდარმის ფუნქციებს, ისინი დაძრწიან მთელ მსოფლიოში. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მეშვიდე ფლოტი უშუალოდ მონაწილეობს ბინძურ ომში გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ამერიკის ავიამზიდებიდან ცაში იკრიბიან რეაქტიული თვითმფრინავები, რომლებიც მომაკვდინებელ ტვირთს აყრიან მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარი ცდილობს თავისი საბრძოლო თვისებანი გამოამჟღავნოს ვიეტნამის ჯუნგლებში. მაგრამ რაც უნდა ეცადონ ინტერვენტები, როგორი იარაღიც უნდა გამოიყენონ, ისინი ვერ გატეხენ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი მამაცი ვიეტნამელი პატრიოტების წინააღმდეგობას.

საბჭოთა სახელმწიფო, თქვა დასასრულ ვ. ა. კასატონოვმა, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ჩვენი ფლოტი მის წინაშე დასახული ამოცანების დონეზე იყოს, რათა მუდამ შეეძლოს ბრძოლა და მსოფლიო ოკეანის ყოველ რაიონში შეესაძლო მოწინააღმდეგის დამკვრელი სამხედრო-საზღვაო ძალების განადგურება. „ავრორას" რევოლუციური მეზღვაურების ტრადიციების ერთგული სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობა სხვა სახეობის შეიარაღებულ ძალებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით ფხიზლად დგას საბჭოთა სამშობლოს სადარაჯოზე და შეძლებს ღირსეულად დაიცვას დიდი ოქტომბრის მონაპოვრები.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1966 წლის 31 ივლისი | № 174 | ქ. მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდგომებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

ამხანაგო ფიფცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

ამხანაგო ზემდგომებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მამაცი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

მიმდინარე წელს ამ ტრადიციულ დღესასწაულს საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი აღმავლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში.

გამოხატავენ რა საბჭოთა ხალხის ნებას, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ საგარეო პოლიტიკის ლენინურ კურსს, რომლის მიზანია საკადრისი პასუხი გასცეს იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს, უზრუნველყოს ხალხთა მშვიდობა და უშიშროება, შეუპოვრად იბრძვიან იმისათვის, რომ შექმნან კიდევ უფრო კეთილნაყოფიერი პირობები ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

მაგრამ ამერიკის იმპერიალიზმი თავისი აგრესიული მოქმედებით აშფოთებს საერთაშორისო ვითარების. დაძაბულობას, ხელყოფს ხალხების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას. გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომის დანაშაულებრივი „ესკალაციით" ყველა ხალხთა ინტერესებს ეხება. ბოლო დროს ამერიკის ცის მეკობრეთა მიერ ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნების დაბომბვასთან დაკავშირებით ვიეტნამის ომი სულ უფრო საშიში ხდება. ამერიკის იმპერიალიზმი არ ყწყეტს პროვოკაციებს რევოლუციური კუბისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ყოველნირად უწყობენ ხელს დასავლეთგერმანელ მილიტარისტთა თავხედურ პრეტენზიებს, რომელნიც ისწრაფვიან ხელთ იგდონ ატომური იარაღი რევანშისტული მიზნების განსახორციელებლად.

ითვალისწინებენ რა ყოველივე ამას, კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი ფხიზლად ადევნებენ თვალს მშვიდობის მტრების ხრიკებს და ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სოციალიზმის ყველა ქვეყნის საბრძოლო თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა მეომრების წმიდათა-წმიდა მოვალეობა ყოველდღიურად სრულყონ თავიანთი, საბრძოლო ოსტატობა, გაამლიერონ სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა.

მოგესალმებით და გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

სამხედრო მეზღვაურებს ვუსურვებ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მხედრული დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებაში, საბჭოთა ფლოტის სახელოვანი ტრადიციების გამრავლებაში.

გემთსაშეზებლო მრეწველობის მუშებსა და მოსამსახურეებს ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველაზე თანამედროვე ხომალდებითა და ტექნიკით აღჭურვის საქმეში.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 31 ივლისს, 21 საათზე ადგილობრივი დროით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, გმირ ცხელსიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ფლოტებსა და ფლოტილიებში მიცემულ იქნას სალუტი ოცი სანარტყლიანი ზარბაზნიდან.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი
რ. მალინოვსკი



შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ამ მეზღვაურებს, რომლებიც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან, დიდი მებრძოლური მეგობრობისა და მინდობილი საქმისადმი ერთგულების გრძნობები აკავშირებთ. საბრძოლო ლაშქრობაში მონაწილეობით მათ ფრიდზე აითვისეს რაკეტის მატარებელი ხომალდის ურთულესი მექანიზმები.

სურათზე: ზევით — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კლასის სპეციალისტები (მარცხნიდან მარჯვნივ) მეორე თანრიგის ზემდგომი ა. ბოდურანიშვილი (ავარელი), უფროსი მატროსები ს. ბონდარენკო (უკრაინელი) და მ. ვავილიცა (მოლდაველი). მატროსები რ. დავაძე, ი. ვალიევი (თათარი), მატროსი ტ. ილიასოვი (ჩეჩენი), უფროსი მატროსი ა. ყურბანოვი (უზბეკი), პირველი თანრიგის ზემდგომი ლ. ფომენკო (რუსი), პირველი თანრიგის ზემდგომი ხ. კუკიევი (ნოღაელი) და უფროსი მატროსი რ. რამაზანოვი (ლეკი). ქვემოთ — ერთობლივ მეცადინეობაზე.

ფოტო მ. რედკინისა, საკადესის ფოტოკორნიტა.

საუბარი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

29 ივლისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის თავმჯდომარეს კ. კამარაჯს.

ლ. ი. ბრეჟნევმა და კ. კამარაჯმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო ვითარებაა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, აგრეთვე ინდოეთის ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხებზე.

საუბარში, რომელმაც მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა, მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და მადრასის შტატის მრეწველობის მინისტრი რ. ვანკატარამანი.

ერაყის პრემიერ-მინისტრი მოსკოვიდან გაემგზავრა

მოსკოვი, 30 ივლისი. (საკადესი). დღეს მოსკოვიდან გაემგზავრენ ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი პროფესორი აბდელ რაჰმან ალ-ბაზაზი და მისი თანმხლები სახელმწიფო მოღვაწენი. ისინი წვიდნენ ლენინგრადში, საიდანაც ბაქოში ჩავლენ, იქიდან კი სამშობლოში გაემგზავრებიან.

თურქი პარლამენტარები სსრ კავშირში

ირკუტსკი, 30 ივლისი. (საკადესის კორ.). მეორე დღეა აქ სტუმრად არის თურქეთის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია ეროვნული პალატის (დაწესებულების) თავმჯდომარის ფერუქ ბოზბეილის მეთაურობით.

ცომბრიელებმა გულითადად მიიღეს თურქი პარლამენტარები. დღეს დილით ირკუტსკის საოლქო ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილეების ი. ფ. ნომოკონოვისა და მ. ი. კოზლოვის თანხლებით მათ დაათვალიერეს ირკუტსკის ჰიდროელექტროსადგურ ი. მთავარმა ინჟინერმა ა. ი. ბოგუნ-დობროოლოვამ პარლამენტარებს „გაცნო ჰიდროკვანძი, ჰიდროელექტროსადგურის მუშაობის ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლები. ჰიდროენერგიის წყაროდ იყენებენ ბაიკალის წყალს, საიდანაც სათაგეს იღებს მდინარე ანგარა.

სანამ სადგურს დატოვებდა ფერუქ ბოზბეილმა თავისი და თანმხლებ პირთა სახელით შემდეგი ჩანაწერი დატოვა სპეციალურ სტუმართა წიგნში: „მოხარული ვართ, რომ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს შესაძლებლობა მოგვეცა დაგვეთვალიერებინა ირკუტსკის ჰიდროელექტროსადგური. ეს ის დიდი ჰიდროტექნიკური ნაგებობა „ენსპერიენტოდეს საბჭოთა ხალხის ბედნიერებას". ადგილობრივ მეფაური მხურვალედ მიესალმა სადგურის ხელმძღვანელებსა და მთელ პერსონალს.

შემდეგ პარლამენტარები წავიდნენ ბაიკალის ტბაზე, სადაც ეწვევიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ლიმნოლოგიის ინსტიტუტს, დათვალიერეს მუზეუმი, სადაც თავმოყრილია უნიკალური ფლორისა და ფაუნის ბევრი ნიმუში. სტუმრები მიიწვიეს მეზობლად მდებარე სანატორიუმ „ბაიკალში". აქ ირკუტსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა სადილი გამართა თურქეთის დიდი ეროვნული კრების დელეგაციის პატივსაცემად.

გულთბილ მეგობრულ ვითარებაში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა, რომელიც მოსკოვში იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვეულად, 29 ივლისს დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. კირილინი, ვ. ნ. ნოვიკოვი და სხვები.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

უ ტანი მოსკოვიდან გაემგზავრა

პრეს-კონფერენცია შერემეტიევოს აეროდრომზე

მოსკოვი, 30 ივლისი. (საკადესი). საბჭოთა მთავრობის მოწვეულად სსრ კავშირში ხუთ დღეს სტუმრად იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი, რომელიც დღეს მოსკოვიდან პარიზში გაემგზავრა.

შერემეტიევოს აეროდრომზე სტუმარი გაცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ზ. ბელოკოლოსმა, ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ე. გურინოვიჩმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრმა კ. ვ. ნოვიკოვმა და სხვებმა.

აეროდრომზე უ ტანმა პრეს-კონფერენცია გამართა საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის.

უ ტანმა თქვა რომ საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა სურვილი კვლავ იხილოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტზე.

უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, უ ტანმა განაცხადა: დიდად მაღელვებს ვიეტნამის პრობლემა და, როგორც კერძო პირი, განვაგრძობ მეცადინეობას, რათა უზრუნველყოთ მშვიდობა დედამიწის ამ რაიონში. მაგრამ, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანს, არ შეშინდება გამოვთქვა თავლსაზრისი ამ საკითხზე, სკორედ ასევე განმარტა უ ტანმა ჰაიტის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის გამო, რომლის თანახმად ეს ქვეყანა ფაქტიურად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელში გადადის.

დასასრულ უ ტანმა გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა ხალხს სტუმართმოყვარეობისათვის. უ ტანმა იმედი გამოთქვა, რომ მისი ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ამოცანების გადაწყვეტას.

ვიეტნამელი მეგობრები საქართველოში

საქართველოში ოთხ დღეს იყო ვიეტნამის მშრომელთა პარტიის პარტიულ მუშაკთა ჯგუფი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ისვენებს და მკურნალობს საბჭოთა კავშირში.

ვიეტნამელი მეგობრები გაეცნენ ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. მათ დათვალიერეს თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანა, ქალაქის ახალშენებლობანი, იყვნენ ფუნიკულორის პლატოზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ეწვივნენ მცხეთასა და გორს, წყნეთის პიონერთა ბანაკს, სიამოვნებით ნახეს სტუმრებმა სტუდია „ქართული ფილმის" მხატვრული და დოკუმენტური ფილმები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ყველგან ძმურ სოლიდარობას უცხადებდნენ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხს. ისინი აცხადებდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ახალი დანაშაული — ჰანოისა და ჰაიფონის — რიდილოეთ ვიეტნამის უდიდესი დასახლებული ცენტრების გარეუბნების ბარბაროსული დაბომბვა მთელი საბჭოთა ხალხის მრისხანებასა და გულისწყრომას იწვევს.

30 ივლისს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის პარტიული მუშაკები ამხ. ჩენ ბაოს მეთაურობით მიიღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

ვიეტნამელი ამხანაგები დღეს ვოლგოგრადში მიემგზავრებიან. (საკადესი).

რეპორტაჟი

ერთი დღე თეთრწყაროელებთან

რობშრიც მთიან ზონაში, თეთრი წყაროს რაიონში პურეულის მოსავალი გვიან შემოდის, მაგრამ წლევანდელმა ცხელმა ზაფხულმა მკა დააჩქარა. ახლა ყველგან თავთავდამძიმებულ ყანებში შეუფერხებლად ამუშავებენ კომბაინებს და უდანაკარგოდ იღებენ პურეულს.

ჩვენც პირველად იქ მივედით, სადაც მოსავლის აღება მომდინარეობდა. ყანაში მიცურავდა ორი თვითმავალი კომბაინი.

— ესენი ჩვენი სახელოვანი მექანიზატორები პ. ფილაური და ლ. ტუმბაულოვია, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ზ. ჩიხტაურმა. — ისინი პირველობისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან. ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ, ვინ ვის სჯობნის.

მართლაც, თვითეული მათგანი ყოველდღე პურეულის მოსავალს იღებს 11 ჰექტარზე ნაცვლად 7 ჰექტარისა.

კალოზე ხვავი მოზღვავდა. მწონავი ძღივს ასწრებს კომბაინის ბუნკერიდან მოტანილი მარცვლის აწონას. მანქანის მძღოლი ბ. ზაქაიძე სახელმწიფო ბეღლისაკენ სწრაფად ეზიდება ახალი ხუთწლედის პირველი წლის ბარაჯას.

ხუთწლედის პირველ წელს კარგად მოუარეს ჯეჯილებს და ახლა ნამაგარით ხარობენ ორბეთის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ვ. თაყანიაშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ფილაური, და ლ. ტუმბაულერი, მშრომელები. აქაურები პირველი დღიდანვე უდანაკარგოდ მკიან პურეულის მოსავალს. კომბაინერი ა. მელიქიშვილი დღეში მკის 14 ჰექტარს ნაცვლად 8 ჰექტარისა. პურის მკასთან ერთად პირუტყვისათვის იმარაგებენ საკვებს. ამ საქმეში პირველობას არავის უთმობს ის აგროგანყოფილება, რომელსაც ზ. მანჯგალაძე ხელმძღვანელობს.

პურეულის მოსავალს სწრაფად და უდანაკარგოდ იღებენ ასურეთის, ჯორჯიაშვილის, ბორბალოს და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში. მოსავლის აღებასთან ერთად რაიონში ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პირველი განალეული მარცვალი მიჰყიდონ სახელმწიფოს. მარტო ერთ დღეს 30 კომბაინით რაიონში პურეული მოიმკა 400 ჰექტარი და სახელმწიფოს მიეყიდა 500 ცენტნერამდე მარცვალი.

თეთრწყაროელები ახლაც არ იშურებენ დონეს იმისათვის, რომ დროულად დაბინაონ თავიანთი ნამაგარი, სახელმწიფოს წინაშე იყონ ვალმოხდილნი.

შ. ჯოჯუა,
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: პურის მკა ორბეთის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო გ. გოგობიასი

ჩვენს ლიად საბჭოეთში

სამხედრო მეზღვაურების დღესასწაული

30 ივლისს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიეძღვნა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლობის, საბჭოთა არმიის მეთმრეთა და სამხედრო მეზღვაურების საზეიმო კრება, რომელიც საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, თავდაცვითი მრეწველობის მინისტრი ს. ა. ზვერევი, საბჭოთა კავშირის მარშლები ა. ა. გრეჩკო, მ. ვ. ზახაროვი, კ. კ. როკოსოვსკი, ვ. დ. სოკოლოვსკი, ვ. ი. ჩუიკოვი, ჯარების გვარეობათა მარშლები, გენერლები, ადმირალები, ოფიცრები და მატროსები, რომლებსაც გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. ფ. დემენტიევამ. მან გულთბილად მიულოცა სამხედრო მეზღვაურებს, გემთსაშენებელი მრეწველობის მუშაკებს დღესასწაული.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალმა ფლოტის ადმირალმა ს. გ. გორშკოვმა თავის გამოსვლაში დაახასიათა ჩვენი სახელოვანი ფლოტის მიერ განვლილი ძალაა წყალქვეშა და რაკეტულ-ატომური ფლოტი, რომელსაც წარმატებით შეუძლია გადაწყვიტოს თანამედროვე ომის ყოველგვარი ამოცანა.

კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მეცადინეობის შედეგად შექმნილია სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელსაც არასოდეს არ ჰქონია ისეთი დამკვრელი ძალა, როგორიც ამჟამად აქვს, და არასოდეს წინათ მისი მზადყოფნა ზღვიდან აგრესორთა თავდასხმის მოსაგერიებლად არა ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც ამჟამად.

კრებაზე სამხედრო მეზღვაურებსა და გემთმშენებლებს მიესალმნენ ქარხანა „ზნამია ტრუდას“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ნ. ს. გლადიშევი, სრულიად-საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პასტუხოვი, გემთსაშენებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ა. მ. ფოკინი, საზღვაო ფლოტის მინისტრის პირველი მოადგილე ტ. ბ. გუჟინკო.

◆

13 აგვისტო ფიზკულტურელის დღეა

ზეიმის წინ

13 აგვისტოს ჩვენი ქვეყნის ყველა სტადიონზე ოფიციალდება ალმები ფიზკულტურელის საკავშირო დღის აღსანიშნავად, რომელიც ყოველდღიურად აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში როგორც საყოველთაო სახალხო დღესასწაული. ფიზიკური კულტურა და სპორტი დამკვიდრდა საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრებაში, გავლენას ახდენს ყველა ასაკისა და პროფესიის მილიონობით მშრომელზე. ხელს უწყობს ჯანმრთელი ცხოვრების, კომუნიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილეების აღზრდას. საკავშირო პროფსაბჭომ, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „ფიზკულტურელის დღის დღესასწაულის შესახებ“. დადგენილება ავალებს პროფკავშირულ, კომკავშირულ, სპორტულ ორგანიზაციებს ფიზკულტურელის საკავშირო დღის დღესასწაული მოაწყონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრივი განვითარების, სპორტული ოსტატობის ამაღლების, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ფიზკულტურელების დარაზმვის ნიშნით.

ფიზკულტურელის დღეს სასპორტო ნაგებობებზე, პარკებში, ჭუჩებში და მოედნებზე უნდა მოეწყოს მასობრივი სპორტული ასპარეზობანი, ამანათობენები, რბენები, სპორტის ოსტატების, მწვრთნელების, ექიმებისა და ფიზკულტურული მუშაკების მოხსენებანი და ლექციები ფიზკულტურელის დღის შესახებ.

საკავშირო პროფსაბჭო, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი და კავშირის ცენტრალური საბჭო რჩევას იძლევიან მოეწყოს ფიზკულტურული ხალამები, საუკეთესო სპორტსმენების ხაჩენებელი გამოსვლები, სპორტული ფილმების კინოფესტივალები, გამოფენები და ფოტოფოტრინები, რომელიც ასახავენ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებას, უზრუნველყონ ქალაქის სპორტსმენთა გამგზავრება სოფლის რაიონებში, კოლმეურნეობებში. დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა ფიზკულტურელების დღესასწაულს შეხვდება ახალი წარმატებებით შრომასა და სპორტში! (საკადესი).

სასარგებლო საუბრები

ა. ა. გრომიკოს პრეს-კონფერენცია ტოკიოში

ტოკიო, 29 ივლისი. (საკადესი). საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ განვითარდეს პოლიტიკური, ეკონომიური, სავაჭრო, კულტურული და სხვა ურთიერთობა იაპონიასთან, განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ დღეს ტოკიოში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. გამოსვლისას. ჩვენი აზრით, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, ჩვენი ქვეყნების საკავშირო ურთიერთობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად ვითარდება, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ აქ ყველა შესაძლებლობა ყოს გამოყენებული.

ა. ა. გრომიკომ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის და სურს განავითაროს ურთიერთობა თავის მეზობელთან — იაპონიასთან, და აღნიშნა, რომ ურთიერთობის განვითარება დამოკიდებულია მხარეების საერთო სწრაფვაზე. ჩვენ ვფიქრობთ, განაგრძო გრომიკომ, რომ იაპონის მთავრობაც განახორციელებს ზოგიერთ ღონისძიებას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გასავითარებლად.

ჟურნალისტთა კითხვებზე რომ უპასუხებდა, საბჭოთა მინისტრმა თქვა, რომ მას სასარგებლოდ მიაჩნია ის საუბრები, რომლებიც ტოკიოში ჰქონდა იაპონის პრემიერ-მინისტრ სატოსთან და საგარეო საქმეთა მინისტრ სიინასთან.

შეერთებულმა შტატებმა, მიუგო მეორე კითხვაზე ა. ა. გრომიკომ, უხეშად დაარღვიეს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი. მათ გააჩაღეს და აწარმოებენ აგრესიულ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ვიეტნამის საკითხის გადაწყვეტის გზაა ამერიკის აგრესიის შეწყვეტა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შინ უნდა დაბრუნონ ჯარები. მათ უფლება არა აქვთ ერეოდნენ ვიეტნამელი ხალხის საშინაო საქმეებში, ისევე როგორც ყოველი სხვა ხალხის. ყველა სხვა საბჭოდან საქმეებში. საბჭოთა კავშირი უჭერდა და აკლავაც დაუჭერს მხარს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას სამართლიან ბრძოლაში აგრესიის წინააღმდეგ. ჩვენ ვეხმარებოდით და აკლავაც დავეხმარებით ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას და თანაც სულ უფრო მზარდი მოცულობით, ხაზი გაუსვა ა. ა. გრომიკომ.

იაპონიის მთავრობის მოწვევით 1966 წლის 24-30 ივლისს იაპონიაში ოფიციალურ ვიზიტად იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვია ტოკიოს, კიოტოსა და ოსაკას.

საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მიიღეს იაპონიის იმპერატორმა, იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ე. სატომ, იგი ესაუბრა იაპონის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. სიინას.

ამ სასარგებლო საუბრების დროს, რაც კეთილმოსურნეობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი როგორც საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის საკითხებზე, ისე დღევანდელობაში საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც ორივე ქვეყანას ინტერესებს.

საუბრების მსვლელობაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ არის შესაძლებლობა იაპონიამ და საბჭოთა კავშირმა კიდევ უფრო განავითარონ ურთიერთობა ყველა დარგში საბჭოთა კავშირ-იაპონიის 1956 წლის ერთობლივი დეკლარაციის სულისკვეთების შესაბამისად. ურთიერთსარგებლობის, თანასწორობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე. მაუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის და სოციალური წყობილებისა. მხარეებმა ცნეს, რომ იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის ასეთი განვითარება დიდ წვლილს შეიტანს აზიის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

მოლაპარაკების შედეგად, 1966 წლის 29 ივლისს ტოკიოში ხელი მოაწერეს იაპონიისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო „კონვენციას.

მხარეებმა ცნეს, რომ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მკვიდრ საფუძველზე დაეყენონ საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობა, საჭიროა დიდოს საზავო ხელშეკრულება და გამოთქვეს თავიანთი აზრი ამასთან დაკავშირებით.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მტკიცედ ვითარდება ორივე ქვეყნის თანამშრომლობა თევზჭერის დარგში და განაცხადეს, რომ მზად არიან კვლავაც განავითარონ ასეთი თანამშრომლობა.

მხარეები შეთანხმდნენ კვლავაც იხმარონ ღონისძიებანი მეცნიერებისა და კულტურის დარგში გაცვლის განვითარებისათვის და განაგრძონ კონსულტაციები ამ დარგებში გაცვლის კონკრეტული ფორმების შესახებ.

მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ საერთაშორისო ვითარება მთლიანად ვითარდება იმ მიმართულებით, რომ სულ უფრო მტკიცდება სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, რასაც საფუძვლად უდევს მსოფლიოს ყველა ხალხის რწმენა, რომ არ შეიძლება დაუშვან თერმოატომური ომი, რომელიც აუცილებელ მსხვერპლს მოუტანს კაცობრიობას.

მხარეებმა გააშუქეს თავიანთი პოზიციები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

მხარეები შეთანხმდნენ ხელი შეუწყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდგომ განმტკიცებას და გამოიყენონ იგი, როგორც ქმედითი ორგანო მშვიდობის შენარჩუნებისა და თანამშრომლობის ურთიერთობის მისი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით.

ბრეჟნევმა [illegible] მხარეებმა შეთანხმდნენ [illegible] ურთიერთობის [illegible] კონტროლსდაქვემდებარებული განიარაღების მიღწევას და საჭიროდ მიაჩნიათ თავიდან აიცილონ ატომური იარაღის გავრცელება, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-20 სესიაზე მიღებული რეზოლუციით.

მხარეები შეთანხმდნენ აწარმოონ რეგულარული კონსულტაციები როგორც საბჭოთა კავშირ-იაპონიის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე, ისე საერთაშორისო პრობლემებზე, რომელთა გადაჭრით დაინტერესებულია ორივე ქვეყანა.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ერთობლივი კომუნიკე

საღილი ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად

ტოკიო, 30 ივლისი. (საკადესი). გუშინ საღამოს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მცუსაბურო სიინამ საღილი გაუმართა სსრ საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს. საბჭოთა მინისტრთან ერთად საღილზე იყვნენ ის პირნი, რომლებიც თან ახლავან მას იაპონიაში მოგზაურობისას, საბჭოთა კავშირის ელჩი იაპონიაში ვ. მ. ვინოგრადოვი.

იაპონიის მხრივ საღილზე იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სიმოდა, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, ტოკიოს მუნიციპალურ ხელისუფალთა წარმომადგენლები, იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებათა მოღვაწეები.

სასაზღვაო საუბრები

სამხედრო მეზღვაურების დღესასწაული

ბაღდადი, 29 ივლისი. (საკადესი). ბაღდადის გაზეთები თავიანთ სტატიებს უძღვნიან მოსკოვში ერაყის პრემიერ-მინისტრის ალ-ბაზაზის ყოფნას. ისინი ხაზს უსვამენ, რომ ერაყის მეგობრობას საბჭოთა კავშირთან ღრმა ფესვები აქვს.

დიდად მადლიერი ვართ საბჭოთა კავშირისა მეგობრული პოზიციის გამო, წერს „ბაღდად ნიუსი“. თავის ურთიერთობაში არაბულ სამყაროთან საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად უჭერდა მხარს და კვლავაც მხარს უჭერს არაბი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. პოზიცია, რომელიც საბჭოთა კავშირმა დაიკავა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული სამთა აგრესიის დროს, საკმაოდ კარგადაა ცნობილი და არ საჭიროებს შემდგომ ახსნა-განმარტებას. საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის უახლესი მაგალითია ღირსეული პოზიცია, რომელიც საბჭოთა დელეგატმა დაიკავა უშიშროების საბჭოში სირიის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის საკითხის გამო გამართული კამათის დროს.

საბჭოთა კავშირი, წერს გაზეთი „ალ-ჯუმჰურია“, ახორციელებს ფართო ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობას ერაყთან და აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ეკონომიური პროექტის შესრულებაში. ახლა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ერაყისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გამოირჩევა მისწრაფებით განუხრელი განვითარებისადმი და ურთიერთხელსაყრელია ორივე სახელმწიფოსათვის.

კაირო, 29 ივლისი. (საკადესი). გუშინ საღამოს ალექსანდრიის უნივერსიტეტში გამოვიდა პრეზიდენტი ნასერი ეგვიპტის რევოლუციის 30-14 წლისთავის გამო. მან აღნიშნა, რომ ამჟამად არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკამ ყველაფერი საზოგადოებას ემსახურება.

მაგრამ, ხაზი გაუსვა მან, ჩვენ გვაქვს ჯერ კიდევ ბევრი საშუშაო, მიუხედავად რევოლუციის 14 წლის მანძილზე მოპოვებული დიდი წარმატებებისა. გვინდა, რომ ჩვენი საზოგადოება ბედნიერი იყოს, მაგრამ ერთ დღეში ვერ მოგესპობთ სიღატაკეს, რომელიც ჩვენში ასობით წელია არსებობს. ხელის ერთი მოქნევით ვერ გადავაქცევთ ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანას მოწინავედ, ხოლო ჩვენს ჩამორჩენილობას — პროგრესად.

პრეზიდენტმა ნასერმა აღნიშნა დიდი ცვლილებანი ეგვიპტის საზოგადოებაში და თქვა, რომ საჭიროა ყოველი ღონე იხმაროს ყველა პროგრესმა გადასაკრეკლად. ჩვენ საზოგადოების სამსახურში ჩავაყენეთ რევოლუცია, განაცხადა პრეზიდენტმა, ვიბრძვით იმპერიალიზმის წინააღმდეგ საზოგადოების ინტერესებისათვის, ყველა ჩვენი გამარჯვება საზოგადოების საქმეს ემსახურება. ჩვენ მოვახდინეთ სუეცის არხის ნაციონალიზაცია, ვაშენებთ ასუანის მაღლივ კაშხალს. იმპერიალიზმს არ სურს, რომ ავაშენოთ ეს კაშხალი, და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გააძნელოს მისი შექმნა, თქვა ნასერმა. მაგრამ ასუანის მაღლივი კაშხალი 1,5 მილიონი ფედანით გაადიდებს კულტივირებული მიწების საერთო ფართობს. იგი საშუალებას მოგვცემს წელიწადში 300 მილიონი ეგვიპტური გირვანქით გაადიდოთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველწლიურად 9-10 ეგვიპტური გირვანქით გაიზრდება თითოეული მოქალაქის შემოსავალი. ყოველ ღონეს ეხმარობთ, რათა გავაუმჯობესოთ ხალხის ცხოვრება, მაგრამ ეს იოლი საქმე როდია, ამისათვის განუწყვეტლივ და ბეჯითად უნდა ვშრომობდეთ.

პრეზიდენტმა ნასერმა აღნიშნა, რომ რევოლუციის მტრები არიან ისინი, ვისაც არ სურს ცვლილებანი და არ სურს დაკარგოს თავისი მოგება. რევოლუციის მტრები არიან ფეოდალები, განაცხადა მან, რომლებსაც რევოლუციამ ათასობით ფედანი მიწა წაართვა. ჩვენ ვიბრძვით რეაქციის, იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ, რადგან მათ არ სურთ განმტკიცდეს მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის შიგნით.

შემდეგ ნასერმა აღნიშნა ის ეკონომიური ზეგავლენა, რასაც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაზე იმპერიალისტური ქვეყნები ახდენენ. მაგალითად, წელს, თქვა ნასერმა, მოხმარების საქონლის იმპორტს უნდა მოვახმარონ 100 მილიონი დოლარით მეტი, ვიდრე შარშან, რადგან შეერთებული შტატები აღარ გვაძლევენ სურსათს ეგვიპტურ გირვანქებზე. უდავოა, ეს ნიშნავს ეკონომიურ ზეგავლენას. მაგრამ ეს ზეგავლენა ვერ გვათქმევინებს უარს ჩვენს თავისუფლებაზე, ჩვენი პოლიტიკის თავისუფლებაზე, ჩვენი მიზნების განხორციელებაზე, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა.

ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ ისეთი საზოგადოება, თქვა ნასერმა, რომელშიც მოსპობილი იქნება კლასობრივი განსხვავებანი, რომელშიც ყველა მოქალაქეს თანაბარი შესაძლებლობანი იქნება. ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ თავისუფალი საზოგადოება, სადაც თითოეული მოქალაქე თავისუფალი იქნება. საზოგადოებაში, სადაც არსებობს ექსპლოატაცია, მოქალაქეები ვერ ისარგებლებენ თავისუფლებით.

სავსებით ნათელია, რომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით უარს თავისუფლებაზე 100 ან 200 მილიონი დოლარის გულისათვის, განაცხადა ნასერმა, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ გადავლახოთ ეკონომიური კრიზისი ჩვენს ქვეყანაში. ეს ნიშნავს, რომ წელს უნდა დავზოგოთ 100 მილიონი დოლარი. ჩვენი საზოგადოების მშენებლობისათვის უმჯობესია დავზოგოთ 100 მილიონი დოლარი, შეამციროთ ჩვენი ხარჯები, ვიდრე გავცვალოთ თავისუფლება 100 მილიონ დოლარში, თქვა დასასრულ ნასერმა.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ერთობლივი კომუნიკე

ლენინური ცხოვრება

დიდი მადლობა

ბაღდადი, 29 ივლისი. (საკადესი). ბაღდადის გაზეთები თავიანთ სტატიებს უძღვნიან მოსკოვში ერაყის პრემიერ-მინისტრის ალ-ბაზაზის ყოფნას. ისინი ხაზს უსვამენ, რომ ერაყის მეგობრობას საბჭოთა კავშირთან ღრმა ფესვები აქვს.

დიდად მადლიერი ვართ საბჭოთა კავშირისა მეგობრული პოზიციის გამო, წერს „ბაღდად ნიუსი“. თავის ურთიერთობაში არაბულ სამყაროთან საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად უჭერდა მხარს და კვლავაც მხარს უჭერს არაბი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. პოზიცია, რომელიც საბჭოთა კავშირმა დაიკავა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული სამთა აგრესიის დროს, საკმაოდ კარგადაა ცნობილი და არ საჭიროებს შემდგომ ახსნა-განმარტებას. საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის უახლესი მაგალითია ღირსეული პოზიცია, რომელიც საბჭოთა დელეგატმა დაიკავა უშიშროების საბჭოში სირიის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის საკითხის გამო გამართული კამათის დროს.

ყოველი მხრიდან

▲ **პრაღა**, 30 ივლისი. (საკადესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ. ტანს, რომელშიც პროტესტს აცხადებს იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც ჰაგის საერთაშორისო სასამართლომ გამოიტანა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ბედის შესახებ.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მოსთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომ უკანონოდ ცნოს ჰაგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოითხოვს აგრეთვე, რომ დაგმონ ბარბაროსული და არაკუმანური პოლიტიკა და დისკრიმინაცია, რომელსაც სამხრეთ აფრიკის მთავრობა ახორციელებს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მიმართ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოითხოვს, რომ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ხალხს მიეცეს თვითგამორკვევის უფლება.

▲ **პანიო**, 30 ივლისი. (საკადესი). გუშინ, ნგეანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ამერიკის ავიაციის თავდასხმის დროს საპაერო თავდაცვის მეთმრეებმა ჩამოაგდეს ამერიკის სამი თვითმფრინავი.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავების რიცხვი 1.265-მდე გაიზარდა.

▲ **ბრაზავილი**, 29 ივლისი. (საკადესი). კონგოში ლუბუმბაშიდან (ყოფილი ელიზაბეტვილი) პრეზიდენტ მობუტუს გამოძახებით ჩამოსული სამხრეთ კატანგის გუბერნატორი გოდფროა მუონგოო დღეს გაფრინდა კისანგანიში (ყოფილ სტენლივილი), რათა ხელი შეუწყოს იმ ამბოხებით გამოწვეული კონფლიქტის მოწესრიგებას, რომელიც კონგოს მთავრობის წინააღმდეგ მოაწყვეს ბელგიის დაქირავებულებმა და კატანგელმა ჟანდარმებმა ექვსი დღის წინათ.

კინშასიდან მიღებული ცნობებით, გოდფროა მუონგოს, რომელიც თავის დროზე ყოფილი პრემიერ-მინისტრის მოიზ ჩომბეს მარჯვენა ხელი იყო, დიდი გავლენა აქვს კატანგელ ჟანდარმებზე. კისანგანიში მუონგოო შეხვდება პრემიერ-მინისტრს ლეონარდ მულამბას, რომელიც გაეგზავნა იქ ამბოხების ლიკვიდაციისათვის, და მეამბოხეთა ჯარების სარდალს პოლკოვნიკ ჩიპულას.

▲ **ბრაზავილი**, 29 ივლისი. საკადესის კორესპონდენტი რ. სერგბრანიკოვი გვატყობინებს:

შვიდი ღამის შემდეგ კისანგანიში დღეს დილით ახალი ძალით ატყდა შეხვედრების სროლა. სროლის ხმა ისმოდა კონგოს ტრანსპორტის საკითხთა სამმართველოს შენობათა და კეტელის სამხედრო ბანაკის რაიონში, სადაც განლაგებული არიან ამბოხებელი ყოფილი კატანგელი ჟანდარმები. ამას იუწყება კინშასის რადიო.

კვლავ დაძაბულია მდგომარეობა ზემო კონგოს პროვინციის მთავარ ქალაქ კისანგანიში. ცნობების თანახმად, თეორკანინი დაქირავებულნი და კატანგელი ჟანდარმები, რომელიც აღარ ემორჩილებიან ოფიცრებს, კვლავ კონტროლს უწევენ მდინარე კონგოს მარცხენა ნაპირზე განლაგებულ ქალაქის მთავარ ნაწილს, მათ შორის რადიოსადგურს, ფოსტასა და აეროდრომს. მეორე ნაპირზე იმყოფება მობუტუს არმიის პოლკი, რომელიც კინშასის მთავრობის ერთგული დარჩა.

ეხმარებიან მარიონეტს

ბონი, 29 ივლისი. (საკადესი). იმ ფინანსური სახსრებით, რომლებიც გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მისცა საიგონის რეჟიმს, მალე სამხრეთ ვიეტნამში შეიქმნება საფრენოსნო სკოლა, რომელშიც ათასამდე კაცი ისწავლის.

ეს ნათქვამია ბონში საიგონის მარიონეტული რეჟიმის ელჩის ნგუენ კუი ანის ინტერვიუში გაზეთ „გენერალ-ანაციგერის“ კორესპონდენტისადმი. ამ ინტერვიუში, რომელიც დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობამ დაადასტურა თავისი განზრახვა გააძლიროს სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის მხარდაჭერა. იმ გეგმების შესაბამისად, რომლებიც შეთანხმებულია ბონსა და საიგონს შორის, დასავლეთ გერმანიის მიერ მიცემული სახსრებით სამხრეთ ვიეტნამში აშენდება ეგრეთ წოდებული „ლოლოვილთა ცენტრი“, ხოლო სინამდვილეში ბანაკი, რომელშიც ეყოლებათ საიგონის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი პირნი.

როგორც გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ იტყობინება, „ლოლოვილთა ცენტრის“ მშენებლობის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს დასავლეთ გერმანიის მთავრობის დელეგაცია, რომელიც ამას წინათ გაფრინდა საიგონში.

ᲐᲛᲐᲝ ᲪᲓᲐ

ნახ. ი. ჟოკიაშვილისა.

ნატოს კავშირიდან საფრანგეთის გამოსვლამ შეშფოთება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში. ისინი ყოველი ღონისძიებით ცდილობენ შეინარჩუნონ ნატოს სამხედრო ძალიერება.

ᲑᲐᲖᲗᲝᲕᲘᲫᲔ.

ᲕᲘᲚᲡᲝᲜᲘ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ

ვაშინგტონი, 30 ივლისი. საკადესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო გვატყობინებს: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი ვილსონი გუშინ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ნაშუადღეს და ჯერ მარტო, შემდეგ კი თავიანთ მრჩეველებთან ერთად განაგრძეს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისისათვის ურთიერთ საინტერესო პრობლემებზე. ამით დამთავრდა ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება. მოლაპარაკების შესახებ განცხადება ან ერთობლივი კომუნიკე არ გამოქვეყნებულა.

თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში მოიერსმა და ინგლისის პრემიერ-მინისტრის პრეს-მდივანმა ლოდ-პიუზმა ზოგადად აცნობეს ჟურნალისტებს, თუ რა პრობლემები განიხილეს ჯონსონმა და ვილსონმა.

მოიერსმა თქვა, რომ პრემიერ-მინისტრი ვილსონი პრეზიდენტ ჯონსონს ესაუბრა მოსკოვში ყოფნის შესახებ. მათ გულახდილად განიხილეს ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა, ინგლისის როლი დასავლეთ ევროპაში და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში, როდეზიის საკითხი და ზოგადად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მდგომარეობა. როგორც მოიერსმა თქვა, მხარეები არ შეხებიან საკითხს ამერიკის მიერ ჰანოისა და ჰაიფონის დაბომბვის შესახებ.

ინგლისის პრემიერ-მინისტრის პრეს-მდივანმა პიუზმა თქვა, რომ ეკონომიურ პრობლემათა განხილვის დროს ინგლისის მხარემ გააკეთა ინფორმაცია, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება ინგლისის ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

შეკითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა, რომ ამ შეხვედრის შედეგად განმდეს ვიეტნამის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების რაიმე იმედი, ლოდ-პიუზმა განაცხადა: პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა, რომელმაც პრეზიდენტ ჯონსონს უამბო მოსკოვში ყოფნის შესახებ, თქვა, ამჟამად ვერავითარ წინსვლას ვერ ეხედავ მშვიდობიანი მოწესრიგების მიმართულებითო.

ვილსონის ჩასვლას ვაშინგტონში და მის მოლაპარაკებას პრეზიდენტ ჯონსონთან, როგორც ეს ორივე ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენლთა განცხადებებიდან ჩანს, კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. როგორც მოიერსმა თქვა, არ შეიცვლილა მათი პოლიტიკური კურსი.

ვაშინგტონი, 30 ივლისი. (საკადესი). გუშინ აქ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ვილსონი ამტკიცებდა, რომ ვიეტნამის კონფლიქტის „გადაჭრა სამხედრო გზით შეუძლებელია“.

ინგლისის პრემიერ-მინისტრის აზრით, ეს კონფლიქტი უნდა გადაიჭრას პოლიტიკური სამეალებებით — მოლაპარაკების გზით. მთავარი პრობლემაა, თქვა ვილსონმა, რომ თავიდან ავიცილოთ ომის შემდგომი გაფართოება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

უთანხმოების ვითარებაში

ბრიუსელი, 29 ივლისი. (საკადესი). ევროპის ეკონომიური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს მორიგი სესია, რომელშიც მონაწილეობდნენ ექვსი ქვეყნის ტრანსპორტის მინისტრები, უშედეგოდ დამთავრდა.

სესიის დროს არ გადაჭრილა „საერთო ბაზრის“ ქვეყნების ტრანსპორტის სისტემების შეთანხმების, ევროპის „ექვსეულის“ შიგნით ტვირთზიდვის ტარიფების უნიფიკაციის პრობლემები და სხვა საკითხები იმის გამო, რომ წარმოიშვა უთანხმოებანი „საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებს შორის.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 30 ივლისი. (საკადესი). უშიშროების საბჭოს დღის სხდომაზე, რომელიც გუშინ იხილავდა სირიის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგად შექმნილ ვითარებას, ოლანდიისა და მალის დელეგაციებმა შეიტანეს რეზოლუციის პროექტი. პროექტში მკაცრად არის დაგმობილი ისრაელის აგრესიის წინასწარ გაანგარიშებული თავდასხმა სირიის ტერიტორიაზე 14 ივლისს.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ლონდონი, 29 ივლისი. (საკადესი). ინგლისის მინისტრთა კაბინეტის სხდომა, რომელიც ოთხშაბათ, 27 ივლისს, ორ საათზე გაგრძელდა, ინგლისის მთავრობის მეთაურ ჰაროლდ ვილსონმა, ინგლისის ეროვნული ეკონომიკის ვითარებისა და ინგლისის ეროვნული ეკონომიკის ზოგიერთ ასპექტთა შესახებ, ინგლისის ბანკ

შოთა რუსთაველი 800

სექტემბერი რუსთაველის საიუბილეო თვეა

სჯობს სახელისა მოხვეჭა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური ლირიკა

გიორგი ჯიბლაძე

რუსთაველის მსოფლმხედველობის ანალიტიკურმა შესწავლამ საესებით ნათელყო, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ავტორი არ არის პლატონის, არისტოტელეს, ნეოპლატონიკური ან პანთეისტური ფილოსოფიის წარმომადგენელი. რუსთაველს აზროვნების საკუთარი სისტემა, საკუთარი ფილოსოფია აქვს, რომელშიც მეღაენდება იმ დროისათვის ცნობილი ფილოსოფიური სკოლების ღრმა ცოდნა. უწინარეს ყოვლისა ეს უნდა ითქვას ანტიკურ მოაზროვნეებზე, რომელთა ზოგიერთ სახელს პოემაშიც ვხვდებით.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა პოეტი უშუალოდ გვანიშნებს ნაცნობ ფილოსოფიურ თეზისს, მსგავსად ნესტანის წერილში განვითარებული შეხედულებისა.

„წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთანა“, რომელსაც ინდოეთის მეფის ასული თავის მიჯნურს ქაჯეთის ციხიდან უგზავნის, ქართული ლირიკული პოეზიის ნამდვილად ფასდაუდებელი შედევრია. ეს არის უნაზესი ლირიზმისა და ადამიანის შინაგანი სულიერი კდემამოსილების უძლიერესი საგალობელი, რომელსაც აუდელვებლად ვერ წაიკითხავთ. მისი ყოველი სტრიქონი ქალურ გრძნობას მიჯნურთა ერთგულ მოვალეობასთან აერთებს და აღსავსეა რეფლექსიასთან ერთად განცდების უნაპირო ზღვით. დავაკვირდეთ მის ამაღელვებელ პოეტურ სტროფებს:

„შენმან მზემან, უშენოსა
არვის მიჰხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიჰხვდეს,
მოცა-ვიდეს სამი მზენი!
აქათ თავსა გარდავიქცევ,
ალლოს მახლვან დიდი კლდენი,
სული ჩემი შეივედრე,
ზეცით მომხვდეს ხუთთუ ფრთენი.
„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა
დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა,
ჰაერთა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე,
მივწვედე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვჰხედვედე
მზისა ელვათა კრთომასა.
„მზე უშენოდ ვერ იქმნების,
რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ
მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა გხახო, მადვე გსახო,
განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა,
სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!
„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს,
შეეოგვედრე რთგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული
ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მომეგონოს მოშორვება,
მემატების წყლული წყლულსა;
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ,
ჩემო, შენთვის დაკარგულსა!
„წადი, ინდოეთს მიმბართე,
არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა,
ყოველგნით ხელ-აღუპყრობელსა,
გულსა ალბინე ჩემისა
მოშორვებისა მთმობელსა,
მომეგონებდი მტირალსა,
შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა!“

პირველივე ტაეპები სავსეა უშშვენიერესი მხატვრული შედარებებითა და მეტაფორებით. ნესტანს სურს ტაეპებს უთხრას, ამ წერილს მსმენელ არსებით ვწერო და თავისი აზრის გამოსახატავად მეტაფორას მიმართავს: ჩემი ტანი ნაღვლისა „ამონაწულ კალმად მაქვს ნახმარი, ხოლო შენი გული ჩემს გულს მივაწებე და ქადალდად ეს გამოვიყენეო. უკეთესი ამაღლება უაღრესად გულწრფელი, ძლიერი სიყვარულისა შეუძლებელი გვიჩვენება. ლირიკული განცდა კიდევ უფრო მაღლდება, როცა ნესტანი სოფელს ანუ ამქვეყნიურ ცხოვრებას უჩივის: რამდენადაც სინანულ ანთებს, ჩემთვის იმდენად ბნელია, რადგან შენგან ჩემი ყოფნა აუტანელია. სოფლის ამგვარი უკუმართობა ფილოსოფოსებმა კარგად იციან, ამიტომ არის, რომ ისინი იწუნებენ ამქვეყნიურ ცხოვრებას და მართალნი არიანო. სასტიკი პირდი ხვედრით განაწამები ახალგაზრდა ქალი (რომელსაც, კარგად ეტყობა, ფილოსოფია შესწავლილი აქვს), შეუხედავად იმისა, რომ ამქვეყნიური ტრფობით არის გატაცებული, ზოგჯერ პესიმიზმში ვარდება და იძულებული ხდება გაამართლოს სკეპტიკური ფილოსოფია ამქვეყნიური ცხოვრების არაღრეობისა.

მაგრამ, რომელი ფილოსოფიური დოქტრინა შეიძლებოდა სცოდნოდა ინდოეთის მეფის ასულს?

სკეპტიკური ფილოსოფიური სკოლები ცოტა როდი იყო ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. პოემიდან სავსებით ამკარად ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსაც და მის გმირებსაც ეს ფილოსოფია შესწავლილი აქვთ, მას იცნობენ, იხსენიებენ კიდეც. კერძოდ, აქ, ნესტანის წერილში, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, არა მარტო ანტიკური სკეპტიკოსები ჰყავს მხედველობაში ტარიელს მიჯნურს, არამედ, უწინარეს ყოვლისა ნაგულისხმევია ნეოპლატონიკური სკეპტიციზმი, რომლის უდიდესი წარმომადგენელი საქართველოში იოანე პეტრიწი იყო — რუსთაველის წინამორბედი მოღვაწე ან უფროსი თანამედროვე.

და მრძენთა ფილოსოფიური კატეხიზმის მოხსენიების შემდეგ ნესტანის ლირიზმი ახალ ძალას იძენს, როცა ფიგურალურად ხატავს ულამაზესი თქმებით დამშვენებულ, მიჯნურთა განშორებით შექმნილ უძმიმეს განცდებს. დალახვრული გულის ტანჯვათა და დაფარული გონების სანუკვარ აზრთა გატარიელისადმი: „შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად“, „მოიგონებედ გახსოვდეო“, და თუ სხვა ადამიანის ტანჯვით გამოწვეული ცრემლი არ მოერევა, გულში მაინც ტკივილი არ იგრძნოს. ეს ტკივილი ძლიერდება, როცა გვესმის ნესტანის მტანჯველი სიტყვებიც: „ძმ სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრეს რათგან სულსა“, „ვიდრე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატრფოდ და სატკივარად“, „მოიგონებედე მტირალსა, შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა“, „თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!“ აქ ისევ ერთმანეთთან მიჯრილი გულწრფელობა და უშუალობა, სიყვარული და ტრფობა, მწუხარება და სევდა, რეფლექსია და სინანული, გული და გონება, მშვენიერება და სილამაზე, — ერთი სიტყვით, ისევ გადმოშლილი აზრი და გრძნობა, რომ შეუძლებელია მკითხველი მთელი არსებით არ შეირხეს, თუ საერთოდ მას ეს არსება გააჩნია.

ამ ურვა-წუხილში ორი მომენტიც ცხადდება: ნესტანის დამოკიდებულება ღმერთისა და ბედისადმი. როგორც ქრისტიანი, ცხადია, ინდოეთის ასული განადიდებს შემოქმედს, მაგრამ ზოგჯერ თურმე გულგატეხილი რჩება, იმედი ეკარგება ღვთაებისადმი, რომლის რწმენაც შეუსიხლხორცებია. ასე რომ არ იყოს, მაშინ წერილში რატომ გვაქვს ის ადგილი, სადაც შემდეგია ნათქვამი: აქამდე მკვდარი მეგონე, ჯიერჩობდი ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ახლა, როცა გავიიე ცოცხალი ხარ, ყველა გადატანილი უბედურება ამ სიხარულით ჯამოსყიდულია; გავიიე თუ არა ეს, „შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვაგონენი“.

პირველი ნაწილი ნესტანის ამ ფრაზისა მორწმუნე ქრისტიანის ჩვეულებრივი მოქმედების გამოხატვითია: სიკეთის მიღება, სიხარული, წარმატება, გადარჩენა, თხოვნის აღსრულება უზენესის ნებას მიეწერება და მასადამე განმადიდებელი სიტყვით გამოიხატება. მაგრამ ნესტანის თქმა — „ღმერთსა ვაგონენი“, იმასაც ნიშნავს, რომ მორჩილება უზენაესისადმი მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როცა ღვთაების წყალობას გრძნობს, ხოლო თუ მოწყალება გაქრა, როგორც ხვარაზმშას შვილის მოკვლის შემდეგ ნესტანისათვის აღარ არსებობს, ღმერთისადმი მონებაც ქრება. როგორც კი ეს მოწყალება დაბრუნდა (ტარიელი ცოცხალი ყოფილა), ნესტანი ისევ მონებას (მორჩილებას) უცხადებს ღმერთს, მაშასადამე, შერყეული რწმენა უბრუნდება, განდგომა თავის თავს უარყოფს.

მეორე მხრივ, ნესტანი ცნობს პრედესტინაციას, წმინდა ქრისტიანული გაგებით, ვინაიდან ყველაფერს ბედის ტრაილს მიანდობს, მსგავსად რუსთველური კონცეფციისა — „რაცა ვის რა ბედმან მისცმს, დასჯერდეს და მას უბნოგდეს“, „რასა ვინ ეძებთ, რას აკნთვთ? ბედია მაძიებელი“. ეტყობა პრედესტინაციის გარდუვალობა ღრმად შეუთვისებია ინდოეთის ასულს, რაკი ყველა თავის უბედურებას ბედს მიაწერს და ტარიელისადმი წერილში ამბობს: „ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!“ მასასადამე, რაკი ღმერთს დაემონა, უბედურების მიზეზი პრედესტინაციაა და არა თვით ღვთაება. მაგრამ პრედესტინაციას ხომ ღვთაებრივი ძალა აქვს, რა კავშირშია უზენაესთან, მისი განგების გამოვლინებაა, თუ თვით არის დამოუკიდებელი ღვთაება? რუსთაველის პოემაში ბედის ძალა იმდენად წინ წამოწეულია, თითქოს ადეკვატური იყოს უზენაესის ძალისა, და ნამდვილად ადეკვატურია, რაკი მისი შეცვლა არავის შეუძლია, იგი თვით არის ღვთისივე თავის განმგებელი, მაშასადამე, თვით არის უზენაესი. ამიტომ, ავთანდილის მსგავსად, ნესტანიც ბედის გარდუვალობას, პრედესტინაციის შეუვალობას აღიარებს, მაგრამ, არაბეთის სპასპეტისაგან განსხვავებით, იგი უფრო პასიურ დამოკიდებულებას, მორჩილებას იჩენს, თავისი ხვედრი საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰგონია, რის გამოც ტარიელს ურჩევს: ჩემს გათავისუფლებას ნუ შეეცდები, ქაჯები ჩემი ბედისადმი ნუ ბრძოლები ნუ გგონია, აუცილებლად მოგკლავენ, ეს ჩემთვისაც საზარელი სიკვდილი იქნება, ეს ჩემთვისაც საზარელი სიკვდილი იქნება, ეს ჩემთვისაც საზარელი სიკვდილი იქნება, ...

ტიკოფესიული მრწამსი აქ ამკარად იჩენს თავს. შუა საუკუნეების მეწერთან, როცა პატრისტიკა ბატონობდა, ამგვარი ფილოსოფია კატეგორიულად მიუღებელი იქნებოდა გაბატონებული რელიგიური დოქტრინისათვის, მით უფრო, რომ შეუძლებელია იმფრონდელ თეოლოგებს შეუმჩნეველი დარჩენოდეთ ნესტანის წერილში განვითარებულ მოსაზრებათა ოფიციალური დოგმატიკიდან განსხვავებული ხასიათი. თეოლოგები უეჭველად მიხვდებოდნენ, რომ აქ არის ან ინდური ფილოსოფიური მატერიალიზმის დანაშრევი (ჩარვაკას სახელით ცნობილი), ან კიდევ ანტიკური ფილოსოფიის (ეპიკიდოსელ) თავისებური გახსენება. როგორც უნდა გადაწყვეტილიყო ეს „ან-ან“, რომელი „ანიც“ უნდა დაეფასტურებინათ, ორივე შემთხვევაში „ეკლესიის მამებს“, ქრისტიანული დოგმატიკური ფილოსოფიის — პატრისტიკის წარმომადგენლებს შეეძლოთ ბრალის დადება რუსთაველისათვის, რომ იგი უღმერთოა, კონფუციანელი ქრისტიანობიდან განხვეულ დგას, არ ცნობს თეოლოგიურ დოგმატებს. და მათ სრული უფლება ექნებოდათ ასე მოქცეულიყვნენ, ვინაიდან იმდროინდელი, შუასაუკუნეობრივი თეოლოგიური, კონფესიული პოსტულატების ერთი ნაწილი ნესტანის წერილში პატივცემული არ არის, პირიქით, იმქვეყნიური ცხოვრების სულ სხვა იდეალია წარმოდგენილი, ვიდრე ამას ოფიციალური კონფესიონალიზმი მოითხოვდა. პატრისტიკას არ გაუუჭირდებოდა ნესტანის წერილი ერესად მიეჩნია და რუსთაველი ერეტიკოსად გამოეცხადებინა.

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ შემდეგ გარემოებასაც: რამდენადაც ჩარვაკა, როგორც მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც ოთხს ელემენტს (ცეცხლს, ჰაერს, წყალს, მიწას) აღიარებდა ყოველგვარი არსობის შემადგენელ ნაწილებად, ღვთაების ჩაურევლად განვითარდა და ამ ოთხ ელემენტს ეფიზიკურ ბრაჰმანზმს, როგორც რელიგიასა და იდეალისტურ ფილოსოფიას, საფრანგეთელია, რუსთაველიც არ ცნობდა ბრაჰმანიზმის დოგმატებს. ანტიკურ ფილოსოფიას რაც შეეხება, ეონივრული იქნება დავაფიქროთ საკითხი: რატომ არის, რომ ნესტანი სწორედ იქ სთხოვს ტარიელს ღმერთს შეეფერე დამსხვნას „სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასაო“, როცა სიყვარულზე ლაპარაკობს — უშენოდ სიცოცხლე არ მინდა, კლდეზე გადავვარდები ან დანით თავს მოვიკლავ; შენს გარდა არავის ვინდომებ, სამი მზეც თუ მეახლება, იქვე „ახლოს მახლავან დიდი კლდენი“ და „თავსა გარდავიქცევო“. ვიმეორებთ, რატომ არის ეს ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი ნახსენები იქ, სადაც ნესტანი სიყვარულზე ლაპარაკობს და რატომ არის ოთხივე ელემენტი დაკავშირებული სიყვარულთან?

გავიხსენოთ ემპედოკლეს მოძღვრებიდან ის მომენტი, სადაც ცეცხლი, წყალი, მიწა ჰაერი არა მარტო წარმოშობს ყოველივეს, არამედ, ახსნილია ძალაც — ამ ოთხ ელემენტს ქმნადობის უნარს რომ ანიჭებს. ეს ძალა ემპედოკლესათვის სიყვარულია, ოთხი ელემენტი სწორედ სიყვარულის ძალით წარმოშობს ყოველივეს. სიყვარული აერთიანებს ოთხ ელემენტს, წინააღმდეგ სიძულვილისა, რომელიც ანტიკურ მოაზროვნეს ბამოიშვილ ძალად მიაჩნია.

მაგრამ გავიცნოთ ემპედოკლეს პოემიდან „ბუნების შესახებ“ იმ ადგილს, რომელიც ჩვენ მიერ დასახელებულ საკითხებს მოიცავს.

ემპედოკლეს პოემა სრული სახით კაცობრიობას არ შერჩენია, თუმცა მოღწეული ფრაგმენტები გარკვევით და ნათლად წარმოგვიდგენენ ხსენებულ კონცეფციას. ამ ფრაგმენტებში, ანტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ემპედოკლე, ღრმა ანალიზს უკეთებს თავის კონცეფციას, გამოდის რა იმ ფაქტიდან, რომ ბუნებაში განუწყვეტელი ცვლილება და ურთიერთგაცვლა შეუძლებელია რაიმე ძალამ შეწყვიტოს — ელემენტები ან ერთიანდებიან ან კიდევ ერთმანეთს საპირისპირად შორდებიან. ორი დიდი ძალა მოქმედებს—სიყვარულისა და სიძულვილისა, რომლებიც ქმნიან ბუნების იმ სურათს, იმ წესრიგს, რასაც ჩვენ საყოველთაოდ ვხედავთ.

ნახეს უცხო მოუმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა;
ცრცრესა ვარდი დათრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა

ტარიელს ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული
ყმასა უთხრა: „მესწრაფების, მითხარ შენი დაფარული,
ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური, სით მოსრული?
მე სიკვდილსა აღარ ვახსოვ, ვარ მისგანცა განწირული“.

მხატვარი ირ. თოიძე.

რუსთაველი და თანამედროვეობა

უჭკნობი დიდება

ფერილი სოფიიდან



„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“—ეს ამაღელვებელი სიტყვები გაისმა როგორც საბრძოლო მოწოდება, რომელმაც დაარღვია შუასაუკუნეობრიობის დუმილი. ეს იყო მძლავრი ქროლვა სიცოცხლის დამამკვიდრებელი ქარიშხლისა, რომელსაც სამყაროსათვის მოჰქონდა კაცობრიობის დიდი იდეალების გარიჟრაჟი. ამ მზიური პოემის შუქი რვა საუკუნის სიშორიდან კვლავ გვითბობს გულს და გვინათებს გონებას სიმართლისა და ქვეყნად ბედნიერებისათვის ბრძოლაში. იგი ქართული გულის საუნჯეა, როგორც თქვა ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთმა გმირმა. ეს მარჯვე შედარება სრულად გადაგვიშლის რუსთაველის პოემის ხალხურ არსს.

ქართველი ხალხის უკვდავი მგოსნის უჭკნობი დიდება განუყრელად დაკავშირებულია XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ბრწყინვალე აუვადეის ეპოქასთან. ამ ეპოქამ მოგვცა შესანიშნავი პოეტები და მოაზროვნენი. ქართული კულტურის იმ მოღვაწეთა პლეადაში, რომლებმაც მოამზადეს ნიადაგი საქართველოს განვითარების პოლიტიკური და ფილოსოფიური ტენდენციების მხატვრული განზოგადებისათვის, არ შეიძლება არ მოვიხსენოთ დიდი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელიც ეკლესია ხდენდა „მწყალობლობისათვის“ და რომელიც, როგორც ცნობილია, მრავალ წელს ცხოვრობდა და ნაყოფიერად მოღვაწეობდა საზღვარგარეთ ერთ-ერთ კულტურულ ცენტრში—ბულგარეთის პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტერში.

ქართული კულტურა განუმეორებელ თვითმყოფ საფუძველზე ვითარდებოდა და ამავე დროს გადმოჰქონდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხალხთა ფილოსოფიისა და მხატვრული შემოქმედების საუკეთესო მიღწევებიც, ათვისებულები ადამიანის აზრს ეროვნული და რელიგიური ფანატიზმის ბორკილებისაგან, ქადაგებდა თავისუფლების იდეალებს და მოუწოდებდა სამართლიანი და ღირსეული ცხოვრებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაზე.

რუსთაველის პოემა საუკუნეთა მანძილზე ბეჭედივით სასტიკ დევნას ბნელეთისმოციქულ კლერიკალთა მხრივ. მაგრამ როგორც განთიადს ვერ განაცალკევებ ამოსულ მზისაგან, ისე შეუძლებელი იყო ხალხის ხსოვნაში წაეშალათ მისი სანუკვარი ოცნებანი, რომლებსაც რუსთაველმა თავის პოემაში უმღერა და რომლებიც ხორცშესხმულია მის გმირთა სახეებში.

რუსთაველი უმღეროდა თავისუფალ, ბრძენ, სამართლიან ადამიანს, რომელიც ამაოობს არა დიდებული წარმოშობით, არამედ თავისი კეთილი საქმეებით. პოეზი, რომელიც პოეტმა გონებასა და სიყვარულს, მეგობრობას უმღერა, ახლა ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერების დიდ მიზანს ემსახურება. ბოროტი არ შეიძლება მარადიული იყოს, მას ძლევს ადამიანთა ერთობლივი ბრძოლა კეთილისათვის. პოემის გმირთა წმინდა მეგობრობა სხვადასხვა ხალხთა მეგობრობად გადაიზრდება. ეს დიადი გრძნობა მოგვიწოდებს გვძულდეს ვერაგობა და ლაჩრობა, იგი სიყვარულსაც კი თავისი მაღალი მიზნებისადმი დამორჩილებულს ხდის, მას მიაჩნია, რომ ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობს. ეს გრძნობა გამსჭვალულია მხურვალე სიყვარულით ადამიანისადმი, მისი გონებისა და მისი ბედნიერების უფლებისადმი. ამ გრძნობით გამსჭვალულია მთელი პოემა.

უკვდავები დიდი პოეტისა, რომელმაც XII საუკუნის ქართული ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების ენციკლოპედია შექმნა, კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მან ღრმად და სიმართლით გადაგვიშალა ქართველი ხალხის არა მარტო ხასიათის თვისებები, მისი იდეალები და მისწრაფებები, არამედ მისი ბუნებისტური სულისკვეთებაც, რომელშიც შეთავსებულია სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისადმი სიყვარულთან. სწორედ ამიტომ პოემის სახეები და იდეები კვლავ მახლობელნი და აღმფრთოვანებელნი არიან სულ ახალ და ახალ თაობათათვის. და ახლა, როცა ნათელი კომუნისტური ჰუმანიზმი ყველა ქვეყნის ადამიანებს მოუწოდებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქვეყნად ბედნიერებისა და მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ, საზეიმოდ ყღერს რუსთაველის სიტყვები: „ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია“.

შოთა რუსთაველის პოემამ რუსული ენის მეშვიდობით უკვე დიდი ხანია ქოვა თავისი მხურვალე პატივისმცემელნი ბულგარეთში. იმ ქვეყანაში, რომელიც ესოდენ ახლო დგას საქართველოსთან თავისი ბედითა და თავისი ბრძოლით თავისუფლებისათვის, ქვეყანაში, სადაც ხალხის სანუკვარი კრედო გამოხატულია დიდი პოეტის ხრისტო ბოტევის სიტყვებით: „ვინც თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცა, იგი არ კვდება..“, უკვდავმა რუსთაველმა ფართო აღიარება ჰპოვა.

რამდენიმე წლის წინათ ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიამ წინადადება მისცა ბულგარელ პოეტს ნ. ლილიევს ორიგინალიდან ეთარგმნა ბულგარულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“. მე წილად მხვდა პატივი დავხმარებოდი შესანიშნავ პოეტს ბულგარედი თარგმანითა და კონსულტაციით. არასოდეს არ დამავიწყდება „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობით განცდილი სიხარული. ნ. ლილიევი რუსთაველს იცნობდა რუსული თარგმანებით და ცდილობდა ბულგარულ ენაზე გადმოეცა პოემის მთელი სიმდიდრე. სამწუხაროდ, პოეტის სიკვდილმა შეწყვიტა დაწყებული მუშაობა. ნ. ლილიევმა მოასწრო ეთარგმნა შესავალი და პირველი ამბავის ნაწილი. მისმა ლექსმა ერთ-ერთ თავდაპირველ რედაქციაშიც კი შეინარჩუნა დედნის სინატიფე და განუმეორებელი მშვენება. ამ სამუშაოს ახლა სხვები განაგრძობენ, და დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიო ლიტერატურის იმ დიდ მგოსანთა წყებაში, რომლებიც თარგმნილია ბულგარულ ენაზე, შოთა რუსთაველი შესაფერ ადგილს დაიკავებს, კიდევ უფრო მახლობელი გახდება ბულგარელი ხალხის ფართო წრეებისათვის.

ქართველ ხალხთან, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთან და მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობასთან ერთად ბულგარელი ზეიმით გადაუხდის 800 წლის იუბილეს საქართველოს უკვდავ შვილს შოთა რუსთაველს — დიდ ჰუმანისტს, რომელიც თავისი პოეტური ნიჭის ძალით ქვეყნად ამკვიდრებდა ბედნიერებას, თავისუფლებასა და მშვიდობას, კეთილის გამარჯვებას ბოროტზე.

ივანე გიწაძე,
ბულგარელი ლიტერატურათმცოდნე, ბულგარეთის მეცნიერ მუშაკთა კავშირის წევრი.

ფერილი ლონდონიდან

ვეფხისტყაოსანი ტემზის ნაპირებზე

დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ერთ-ერთი ის ისტორიული მემკვიდრეობაა, რომელიც სამართლიანად მთელ კაცობრობას უნდა ეკუთვნოდეს. ინგლისურ ენაზე პირველად იგი თითქმის 60 წლის წინათ გამოიცა. მას შემდეგ პოემა დიდ ბრიტანეთში აღარ დაბეჭდილა, და გასაკვირველი როდია, რომ ამ შესანიშნავი წიგნის სულ რამდენიმე ეგზემპლარიღა დარჩა. არ შეიძლება აგრეთვე ანგარიში არ გაეწიოს ინგლისურ ენაში მოხდარ გარკვეულ ცვლილებებსაც. ყოველივე ეს ერთად აღებული ამტკიცებს ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის საჭიროებას. ამიტომ მხოლოდ მისასალმებელია ქართველ სპეციალისტთა ინიციატივა ვეფხისტყაოსნის ინგლისურ ენაზე გამოცემის საქმეში.

ამჟამად მე რედაქციის გაუკეთებ ვეფხისტყაოსანის ინგლისურ ტექსტს, რომლის თარგმანი შესრულებულია თბილისელი მთარგმნელის ვიქტორ ურუშაძის მიერ. ვეფარუდობთ იელესის დამლევისათვის დავამთავროთ მთელი მუშაობა. უკვე რედაქტირებულია წიგნის ნახევარი. მაგრამ დრო მაინც მცირეა დარჩენილი. ჩვენი დიდი სურვილია მივაღწიოთ იმას, რომ წიგნი გამოვიდეს შემოდგომაზე დიდი შოთა რუსთაველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ზეიმის დროებში.

არ ვნანობ, რედაქტორის მძიმე მოვალეობა რომ ვიკისრე. მუშაობის მსალელობაში მიხდება ბევრი რამ წავიკითხო ქართველი ხალხის ისტორიაზე, ქართულ ლიტერატურაზე. ჩემი ოცნებაა შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდე და საკუთარი თვალით ვნახო ყოველივე ის, რის შესახებაც წამიკითხავს.

თარგმანზე მუშაობის ყოველი დღე, მიოხედავად სიძნელეებისა (ისინი კი ბევრია), დიდ კმაყოფილებას განმაცდევინებს. ძალიან მიხდა აღვნიშნო დიდი დახმარება, რასაც ვიღებ ურუშაძე მიწევს. ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით და განვიხილავთ ამ დიდებული პოემის არა მარტო თითეულ სტროფს, არამედ თითეულ სტიქონსაც. ვიცდილობთ ინგლისურ ენაზე გადმოვცეთ პოემის არა მარტო აზრი და შინაარსი, არამედ მისი სულიც, მისი ეგზოტიკა, მისი ისტორიულობა. გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი კმაყოფილი იქნება ინგლისური თარგმანით.

კევინ ბრასლი-ჰოლანდი,
ინგლისელი პოეტი.
ლონდონი.



მუდამ და ყველგან

ახალი საიუბილეო გამოცემა

აბერ უკვე თითქმის რვა საუკუნეა ჩვენი ხალხი ყველგან — ჭირშიც და ლხინშიც, ბედნიერებისა და ძნელბედობის ჟამსაც თავისი თბილი გულით ატარებს ქართველი ერის ხელისხელსაგოგმანებ მარგალიტს — გენიალური შოთა რუსთაველის სწორუპოვარ „ვეფხისტყაოსანს“.

ამ წინასაიუბილეო დღეებში გამომცემლობა „განათლებამ“ (დირექტორი ალ. გომიაშვილი) უმშვენიერესი საჩუქარი გვიძღვნა. ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია „ვეფხისტყაოსნით“ არა მარტო ჩვენი ბიბლიოთეკა დავამშვენოთ, არამედ მუდამ და ყველგან გულის ჯიბეში ვიქონიოთ იგი, როგორც კეთილი მეგობარი, ბრძენი მრჩეველი და გზის მაჩვენებელი.

„განათლებამ“ მინიატიურული ფორმატით დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. ეს გამოცემა თავისი **ნატურალური სიდიდით (ზომა 6,5X9 სმ) აღბეჭდილია ამ სურათზე.**

ეს არის პოემის პირველი მინიატიურული გამოცემა, რომელშიც იბეჭდება საიუბილეო კომენტატის მიერ მოწონებული ტექსტი, მომზადებული გიორგი წერეთლის, სარგის ცაიშვილის და გურამ კარტოზიას მიერ. რედაქტორები არიან ირ. აბაშიძე და გ. წერეთელი.

წიგნის და სუპერის მხატვრულ - გრაფიკული გაფორმების ავტორები არიან ელგუჯა ბერძენიშვილი და ზურაბ კაკაბაძე. წიგნის მხატვრული კაზმეულობისათვის ოსტატურად არის გამოყენებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები. პოემა დასურათებულია სერგო ქობულაძის ილუსტრაციებით. მოკლე ანოტაცია — ბოლოთქმა „რედაქციისაგან“ დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

წიგნი, რომლის ასაწყობად გამოყენებულია უმცირესი სასტამბო შრიფტი — ნონპარელი (რომლის კეგელი 6 პუნქტია), დაბეჭდილია საუკეთესო ხარისხის ქაღალდზე და ჩასმულია ქართული ორნამენტებით შემკულ ლეიბრინის ყდაში. ეს გამოცემა, რომელიც აიწყო, დაიბეჭდა და აკინძა თბილისში, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის საუკეთესო მიღწევაა. ყველა, ვინც კი ამ გამოცემის განხორციელებისათვის მუშაობდა, ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსია.

ლ. კიკნაძე.

საიუბილეო მზადება

□ **მეტალურგთა** ქალაქს ამ დღეებში ეწვივნენ ქართველი რუსთაველოლოგები. კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც შეიკრიბნენ მეტალურგები, ქიმიკოსები, მეცხემენტეები, მშენებლები, გაიმართა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამოზე მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიკოსი ა. ბარამიძე, პროფესორები მ. ჩიქოვანი, გ. იმედაშვილი, ი. ლოლაშვილი, მეცნიერებათა კანდიდატი ი. მაისურაძე და სხვები. მათს მოხსენებებში ასახული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი თემები და მოტივები. დ. ბაჩავა.

□ **ენგურჰესის** მშენებლობაზე გაცხოველებით ემზადებიან რუსთაველის იუბილესათვის. გენიალური პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ეწყობა ლექციები. სამმართველოებში მოწყობილია რუსთაველისადმი მიძღვნილი ფოტოსტენდები და კუთხეები. ნ. ბანტარია.

□ **ცხინვალის** რაიონის სოფელ ჭარების სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე გ. ტურაშვილი) დიდი ხანია ემზადებიან დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილესათვის.

ამ დიდმნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით მოეწყო „ვეფხისტყაოსნის“ და მისი გენიალური ავტორის შესახებ გამოცემული წიგნების გამოფენა. ბიბლიოთეკა ამზადებს მკითხველთა კონფერენციას თემაზე „შოთა და მისი „ვეფხისტყაოსანი“. ა. ცოტნიაშვილი.

□ **ყაზეტაბრს** რაიონის მაღალ მთიან სოფელ დღნორისაში გაიმართა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. მოხსენებებით გამოვიდნენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. მურღულია, მოსწავლეები ლ. ლომთაძე და ც. სოხაძე.

შ. ბანძელაძე.

— ასე აფასებენ

ლუი არაგონი (საფრანგეთი): „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ყველაზე შესანიშნავი ქმნილებაა. დასავლეთ ევროპის ამავე ეპოქის დიდი პოემებისაგან განსხვავებით, იგი თავისუფალია ყოველგვარი მისტიკისაგან და, აღორძინების ეპოქის ქმნილებათა მსგავსად, ქრისტიანულ მოძღვრებაზე მაღლა დგას.

საქართველომ წარმოშვა თავისი დანტე მაშინ, როცა ჩვენ კრეტენ დე ტროამდე ძღვივს მივაღწიეთ“.

ხაიმ ვარდი (ისრაელი): შოთა რუსთაველი, ჩემის აზრით, მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი გენიაა. „ვეფხისტყაოსანს“, რომ ვკითხულობდი, შევიგრძენი დიდი და მარად უჭკნობი პოეზიის ფრთაგაშლილობა.

ჩვენი რუსთაველიანა

ფურცელი მეოთხე

კომუნისტი ახალი ამბები

პატარები კაჟდებიან

ბიათურა. (საკ. კორ.). კურორტებზე — კოჯორში, წყნეთსა და მანგლისში 116 ბავშვი გაიგზავნა. სოფელ პერევისის მ. გორკის სახელობის პიონერთა ბანაკში 150 ბავშვი ისვენებს, ამდენივე მეორე ნაკადზე გაემგზავრება.

ბორჯომში ისვენებენ ქალაქის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები, ხოლო ბაკურიანში მარგანეცის ტრესტის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები.

ავტომოტოლატარიის წარმატება

მოსკოვი, 30 ივლისი. (საკადესი). მოსახლეობას შორის წარმატებით ვრცელდება ავტომოტოლატარიის ბილეთები, რომლებიც საბჭოთა კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა.

23 ივლისისათვის ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში უკვე გაიყიდა დაახლოებით 23 მილიონი ბილეთი.

როგორც ცნობილია, ლატარეა გამოდის 48 მილიონი მანეთისა, აქედან 24 მილიონ მანეთს მოსახლეობა მიიღებს ფასიანი მოგებების —, ავტომობილების „ვოლგის“, „მოსკვიჩ-408“-ის და სხვათა სახით. ლატარიიდან მიღებული თანხის დანარჩენი ნაწილი მოხმარდება მოსახლეობას შორის თავდაცვით-მასობრივი მუშაობის შემდგომ გაშლას, საბჭოთა კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ტექნიკური წრეებისა და კურსების ფართო ქსელის შექმნას, სასწავლო და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას.

ღამის გაანგაში

ფუნარი ოკეანის ფლოტი, 30 ივლისი (საკადესი კორ.). ეს ამბავი ელვის სიჩქარეზე გავრცელდა: თათრეთის ყურეში ორი ბაღმი ამოტივტივდა. ყველა გემმა, რომლებიც ამ რაიონში მიდიოდა, მიიღო გაფრთხილება — შეჩერდით!

მაშინვე, გვიან ღამით, სიბნელეში ადგილსაკენ გაემართა წითელდროშოვანი წყნარი ოკეანის ფლოტის ერთ-ერთი ძლიერი საყოფაო სწრაფი კატარღა.

რამდენიმე საათის შემდეგ გაისმა მორიგის ხმა:

— მარკვნივ ნაღმებია!

კატარღაში რასხდნენ გამოცდილი ამფიბიაკრები სპეციალისტები. კომუნისტი ლეონიდ ბეზდელნოვ, კომკავშირელები ანატოლი ნოვიცკი და ნიკოლოზ ქსენზი. ფრთხილად მიუახლოვდნენ მრისხანე ნაღმებს, რომლებიც ოკეანეში დარჩენ მეორე მსოფლიო ომის დროიდან, და მათ მოაბეს ასაფეთქებელი პატრონები. მას შემდეგ, რაც ღამის სიბნელეში გაისმა ორი გამაყრუებელი, აფეთქება, გემებმა განაგრძეს გზა.

ეს მოხდა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის წინა დღეს.

უნარიანობისა და მამაცობისათვის პირველი თანრიგის ზემდეგს ლ. ბეზდელნოვს, უფროს მატროს ა. ნოვიცკისა და მატროს ნ. ქსენზს ნაწილის სარდლობამ მადლობა გამოუცხადა.

ტაიფუნ „ორას“ გაემოძახილი

ჯი ივლისს ღამით ვლადივოსტოკს გადაუარა ძლიერმა გრიგალმა. ზღვაზე შტორმმა ათ बალს მიაღწია. და თუმცა ჰიდრომეტეოროლოგიურმა სამსახურმა წინასწარ დაგზავნა გაფრთხილება, მაგრამ ერთ-ერთ პატარა პლაშკოუტიან კატარღას ვეებერთელა ტალღებმა მოუსწრეს პოპოვის კუნძულის ნაპირებთან და ნაპირზე გარიყეს. საშველ სამუშაოებს მაშინვე შეუდგა შორეული აღმოსავლეთის საზღვაო ნაოსნობის ბუქსირი „ზარია“, მალე გემი, რომელსაც ავარია მოუვიდა, მშვიდობიანად მოხსნეს ქვებიდან.

კოისპირული წვიმების გამო საზღვაო სავაჭრო და სათევზაო ნავსადგურებში დღეს შეწყდა ძირითადი დასატვირთი ოპერაციები. გრიგალმა დააზიანა კავშირგაბმულობის ხაზები, შეიჩერა სამუშაოები ვლადივოსტოკის მშენებლობებზე. დაზიანდა მწვანე ნარგავები.

ქოქისპირული ნვიმა

▲ რომი, 29 ივლისი. (საკადესი). ცივი ჰაერის მასებმა შეაღწიეს აპენინის ნახევარკუნძულზე და გამოწვიეს ტემპერატურის მკვეთრი დაცემა. უხვი წვიმები — ეს მოვლენა მეტად იშვიათია იტალიისათვის წელიწადის ამ დროს.

გუშინ ტორინოს თავს დაატყდა ქოქისპირული წვიმა და სეტყვა. ამასთან სეტყვა იმდენად დიდი იყო, რომ ზოგ-ერთ ადგილას მისი ფენის სიმაღლე 30 სანტიმეტრს აღწევდა. ქალაქში რამდენიმე საათით შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა.

ძლიერი წვიმა და სეტყვა იყო აგრეთვე კამპანიის, ბაბრუცის, ემილია-რომანიის, ვენეციის ოლქებში და პიემონტის ნაწილში.

ნეაპოლისა და სორენტოს რაიონში წყლის ნაკადმა გამოიწვია მეწყერული მოვლენები, რის შედეგადაც რამდენიმე ავტომანქანა, საბდნიერო, ოდ უმგზავრებოდ, დაიმსხვრა და ზღვაში გადავარდა.

ქარგორგალა რუსეთში

სოჩია, 30 ივლისი. (საკადესი). გუშინ რუსეთ თავს დაატყდა ქარბორბალა. 15 წუთის განმავლობაში ქალაქის ეკუჩები მდინარეებად იქცა. ბევრ ადგილას წარმოშვა ტბები, რომლებმაც დატბორეს მსუბუქი მანქანები, მოტოციკლები, ათობით სახლი. ამას იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო. ძლიერმა ქარმა დაგლიჯა ელექტროგადაცემის ხაზები, რის გამო მუშაობა შეწყვიტა ბევრმა სამრეწველო საწარმომ. სტიქიურმა უბედურებამ მატერიალური ზარალი მიაყენა იგრეთვე ზოგიერთ სამრეწველო საწარმოს. დაღუპა ერთი კაცი.

მეტეოროლოგიურმა სამსახურმა გამოაცხადა, რომ ასეთი კოქისპირული წვიმები, რასაც ახლდა ძლიერი ქარი, გრიგალი და სეტყვა, მოვიდა გუშინ ქალაქ სევლიევოს რაიონში და იამბოლის ოლქის სოფელ ბეზმერში.



ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი

გუშინდელი ფინალური მატჩი ფეხბურთში ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე, რომელსაც 29 ქვეყნის 400 მილიონზე მეტი მაყურებელი ადევნებდა თვალს ტელევიზიით, მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი უაღრესად დაძაბული, მაღალტექნიკური და ჭეშმარიტად ვირტუოზული თამაში.

ამინდი მეტოქეთათვის ხელსაყრელი არ იყო — წვიმდა. და მაინც თავიდან აღებული მაღალი ტემპი ბრძოლის უკანასკნელ წუთებამდე არ შენელებულა. პაექრობა 120 წუთს გაგრძელდა, რაც ფიფა რომეს თასისათვის ბრძოლაში უჩვეულო მოვლენაა.

ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს მასპინძლებმა. თუ არა გერმანელთა მეკარის ტილაროსკის მაღალი ოსტატობა, ინგლისში პირველ წუთებშივე გაიხსნებოდა. ინგლისელთა იერიშს, იერიში მოსდევდა, კრიტიკულ მომენტს—მომენტი, მაგრამ როგორც ზოგჯერ ხდება ბურთი სწორედ ინგლისელთა კარში აღმოჩნდა. ეს მოხდა მე-12 წუთზე. მცველის — უილსონის შეცდომა კარგად გამოიყენა ჰალერმა.

ამის შემდეგ დროებით ბრძოლა თანაბარ ხასიათს ატარებდა, შემდეგ კი ინიციატივა კვლავ მასპინძლების მხარეზე გადავიდა. მე-17 წუთზე ინგლისელებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს და წონასწორობა აღადგინეს. თავური დარტყმით ბურთი გაიტანა — ჰერსტმა.

მეორე ნახევარში ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. 77-ე წუთზე დაწინაურდნენ ინგლისელები — 2:1. გოლის ავტორი იყო პენერსი. მასპინძლები ანგარიშს უკანასკნელ წუთ